

ამხანაგობის ქონებიდან წილის განკარგვის წესი

ეკატერინე ნინუა

სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

THE ROLE OF MANAGING THE SHARE FROM THE PROPERTY OF FELLOWSHIP

Ekaterine Ninua

Doctor of Law, Associate Professor

რეზიუმე

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში სსკ) 933-ე მუხლის პირველი ნაწილით აკრძალულია საერთო ქონებიდან წილის მესამე პირისათვის გადაცემა სხვა მონაწილეთა თანხმობის გარეშე. ამხანაგობის ხელშეკრულება წარმოადგენს ფიდუციურ ხელშეკრულებას, სადაც თითოეული მონაწილის პიროვნებას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა. ერთ-ერთი მონაწილის მიერ საერთო ქონებიდან დანარჩენ მონაწილეთა თანხმობის გარეშე კუთვნილი წილის თვითნებურად განკარგვა კი დაკავშირებულია ამ მონაწილის შეცვლასთან მისი წილის მყიდველით - გარეშე პირით. ე.ი. მონაწილე საერთო ქონებიდან სხვა პირს გადასცემს არა მარტო კუთვნილ წილს, არამედ ამხანაგობის ხელშეკრულებაში მონაწილეობის უფლებასაც. ვფიქრობ, ერთ-ერთი მონაწილის მიერ წილის გასხვისების შემთხვევაში, საჭირო არ უნდა იყოს სხვა (ყველა) მონაწილის თანხმობა, ვინაიდან ყველა ის უფლება-მოვალეობა, რაც ხელშეკრულებით დაკისრებული ჰქონდა წილის გამსხვისებელ მონაწილეს გადავა ახალ მონაწილეზე. ამდენად, მიმაჩნია, რომ სსკ-ის 933-ე მუხლის პირველ ნაწილში გასათვალისწინებელია სხვა ქვეყნების გამოცდილება (საფრანგეთი, რუსეთი) ამხანაგობიდან წილის თავისუფლად განკარგვასთან დაკავშირებით, რადგან ამხანაგობის ხელშეკრულების მონაწილეები არ შეიზღუდონ საერთო ქონებიდან კუთვნილი წილის განკარგვაში.

ამხანაგობის ძირითადი თავისებურებანი, რომელსაც წინამდებარე სტატიაში განვიხილავთ, წარმოადგენს საერთო მიზნის მისაღწევად ერთობლივ საქმიანობაში წილის შეტანას. ნაშრომში წარმოჩენილია ის ძირითადი თავისებურებები, რაც უკავშირდება ამხანაგობის ქონებიდან მონაწილეთა მიერ მათი კუთვნილი წილის განკარგვას და გამოთქმულია ავტორისეული მოსაზრება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 932-ე მუხლის მესამე ნაწილთან მიმართებაში, ზუსტად განისაზღვროს მონაწილეთა საერთო საკუთრება.

RESUME

On the basis of the first part of Paragraph 933 of the Georgian Civil Code, there is prohibited the delegation of the share from all common property without the other participants consent. Fellowship Agreement is a Fiducial Agreement, where the personality of each participant. is of significant importance. Willful manag-

ing of belonging share from all common property by one of the participant without the consent given by the other participants is related with substituting of this participant for the buyer of his (her) share – outstanding individual i.e. the participant from all common property will delegate to the other individual not only the belonging share, but the right of participation in Fellowship Agreement. I think, that in case of alienation of the share by one of the partner, consent of the other (all) participants shouldn't be required, as all the rights and obligations, which were assigned on alienating participant of the share by the Agreement will be delegated to a new participant. Thus, I consider, that in the first part of paragraph 933 of the Georgian Civil Code, there should be contemplated the experience of the other country (France, Russia) in relation with free managing of share from fellowship, in order the participants of Agreement not to be limited in the matter of managing the belonging share from all common property.

The peculiarities of Fellowship is that the fee is invested in joint activity for achieving all common goal. There is risen all common property of participants as a result of fees and joint activity conducted in fellowship. Each of the participant of fellowship, relevant to made fee is owning the certain share of the property with the right of all common property. Accordingly, the author's opinion expressed in the work in relation with the third part of Paragraph. 932 of the Georgian Civil Code, to be exactly defined the all common property of participants in shares.

ამხანაგობა წარმოადგენს ორი ან რამდენიმე პირის გაერთიანებას საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნის მისაღწევად იურიდიული პირის შეუქმნელად.

იურიდიული მეცნიერება და პრაქტიკა გამოყოფს ამხანაგობის (ერთობლივი საქმიანობის) ხელშეკრულების შემდეგ ძირითად ნიშნებს:

ა. ამხანაგობა წარმოიშობა მხოლოდ ხელშეკრულების საფუძველზე. ამხანაგობის (ერთობლივი საქმიანობის) ხელშეკრულების მონაწილე უნდა იყოს მინიმუმ ორი პირი მაინც. სადამფუძნებლო გაერთიანებისაგან განსხვავებით (მაგალითად, სააქციო საზოგადოება), სახელშეკრულებო გაერთიანებებში, რომელსაც მიეკუთვნება ამხანაგობა, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამხანაგობის მონაწილეთა შორის პირადი დამოკიდებულება, განპირობებული ურთიერთდობით, პატივისცემითა და სხვ. ფაქტორებით.

სახელშეკრულებო ავტონომიიდან გამომდინარე ამხანაგობის დაფუძნებას საფუძვლად უდევს მონაწილეთა ნაბაყოფლობითი გაერთიანება. თუმცა, სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლში მის შესახებ არაფერია ნათქვამი და აღნიშნულია, რომ „ორი ან რამდენიმე პირი კისრულობს ერთობლივად იმოქმედოს.“ აქ მხედველობაშია შენატანების შეტანა და ერთობლივი მოქმედება საერთო მიზნის მისაღწევად, რაც ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული მოქმედებები ხორციელდება „ნებაყოფლობით“, მონაწილეთა მიერ „კეთილი ნების“ ერთობლივად გამოხატვით.

ამდენად, ამხანაგობის დაფუძნება განპირობებულია მონაწილეთა ნების გამოვლენაზე, სადაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ორი მომენტი: ხელშეკრულების მონაწილეთა ნება უნდა ატარებდეს საერთო ხასიათს, იყოს შეთანხმებული და მიმართული საერთო მიზნის მისაღწევად.

ბ. ამხანაგობის (ერთობლივი საქმიანობის) ხელშეკრულება ფორმათავისუფალი გაერთიანებაა, ვინაიდან ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც წერილობით, ისე ზეპირად (სსკ-ის 931-ე მუხლის პირველი ნაწილი). „ამხანაგობა შეიძლება კონგლუდენტური მოქმედებითაც წარმოიშვას, მაგალითად, როცა სხვადასხვა პროფილაქტიკის მეპატრონეები ერთმანეთს უგზავნიან კლიენტებს ან სათადარიგო ნაწილების მიმწოდებლებს ისე, რომ ამ ურთიერთობას ისინი არც არქმევენ ამხანა-

გობას.“¹

გ. მონაწილეები შენატანების საფუძველზე ქმნიან ქონებას, რაც მათი საერთო წილობრივი საკუთრებაა.

დ. მონაწილეები ერთობლივად კისრულობენ საერთო საქმიდან წარმოშობილი ზიანისა და ხარჯების განაწილებას .

ე. მონაწილეები ინაწილებენ მიღებულ შედეგებს.

როგორც უკვე აღვნიშნე ამხანაგობის ხელშეკრულების თავისებურებებს წარმოადგენს ის, რომ იგი ობიექტურად ითვალისწინებს მონაწილეთა შორის საერთო საკუთრების წარმოშობას. ამხანაგობა არის მხოლოდ მონაწილეთა სახელშეკრულებო გაერთიანება, რომელიც არ ქმნის სამართლის დამოუკიდებელ სუბიექტს - იურიდიულ პირს. შესაბამისად, მონაწილეთა მიერ ერთობლივ საქმიანობაში შენატანების სახით შეტანილი ქონება, რომლის საფუძველზე იქმნება მონაწილეთა საერთო ქონება, მათ გადაეცემათ ერთმანეთის სასარგებლოდ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 932-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, „თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, შესატანები წარმოადგენს მონაწილეთა საერთო საკუთრებას. მონაწილეთა საერთო საკუთრებას შეადგენს ისიც, რაც შეძენილია საერთო საკუთრებაში არსებული უფლების საფუძველზე, ანდა მიღებულია ანაზღაურების სახით საერთო ქონების განადგურების, დაზიანების ან ამოღების გამო.“ როგორც წესი, ამხანაგობის შემთხვევაში (მისი მიზნიდან გამომდინარე) იმ შენატანების შეტანა ხდება და უნდა ხდებოდეს, რაც აუცილებელად გამოსაყენებელია და საჭიროა მიზნის, შედეგის, მისაღწევად. ამდენად, ყველა შენატანი თავისთავად ამხანაგობის საერთო საკუთრებაა, ხოლო თითოეული მათგანი (წევრი) მესაკუთრეთა თავისი წილისა.

შეიძლება თუ არა ზემოთ აღნიშნულ ნორმაში არსებული დათქმა: „თუ სხვა რამეს“ განიმარტოს, როგორც ამხანაგობის ქონებაზე მონაწილეთა საერთო თანაზიარი საკუთრების არსებობის შესაძლებლობა ან კანონმდებელს მხედველობაში ხომ არ აქვს რომელიმე სხვა შემთხვევა? რა თქმა უნდა, მონაწილეებს შეუძლიათ, ხელშეკრულებით დაადგინონ, რომ ამხანაგობაში მათ მიერ შეტანილი ქონება კი არ შევა მათ საერთო საკუთრებაში, არამედ გადაეცემა ყველა მონაწილეს სარგებლობის უფლებით. ვფიქრობ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 932-ე მუხლის მესამე ნაწილში მოცემული წესები იძლევა ამის შესაძლებლობას და მხედველობაშია მხოლოდ მსგავსი შემთხვევები. ამხანაგობის საერთო თანაზიარი საკუთრების არსებობის შესაძლებლობა კი, ერთი მხრივ, ეწინააღმდეგება თვით აღნიშნული სახის ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას და, მეორე მხრივ, - საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია, რომ საერთო (თანაზიარი და წილადი) საკუთრება წარმოიშობა კანონის ძალით ან გარიგების საფუძველზე. მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი (სსკ-ის 1158-ე მუხლის პირველი ნაწილი). საკუთრება წილადი იქნება, თუ თანაზიარი, ამას ბევრად განსაზღვრავს არა მარტო მისი სუბიექტების ნება, არამედ თვით საკუთრების ობიექტის თავისებურებანი. მაგალითად, „თუ სამეწარმეო საზოგადოებებში წილზე უფლებასთან გვაქვს საქმე, რომლის გასხვისებაც ხელეწიფებათ პარტნიორებს, სამაგიეროდ ერთობლივი საქმიანობის შედეგად შეძენილი ქონება მის მონაწილეთა თანასაკუთრებას წარმოადგენს“.²

აღნიშნული მოსაზრება, როგორც ზემოთ არის აღნიშნული, არ შეესაბამება ამხანაგობის ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას. კანონში საუბარია არა თანასაკუთრებაზე, არამედ

¹ ამ გზით ამხანაგობის შექმნის შესაძლებლობა აღიარებულია სხვა ქვეყნების სამართალში, მაგალითად, გერმანულ სამართალში: Kübler Friedrich, Assmann Heinz-Dieter; Gesellschaftsrecht, 6. Aufl. C. F. Müller, Heidelberg, 2005, § 6 I S. 43; Grunewald Barbara, Gesellschaftsrecht, 6. Aufl. Mohr Siebeck, Tübingen, 2005, A I Rdz. 3; იხ. ლ.ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომც., „სამართალი“, თბ., 2011 წ. გვ., 280.

² Советское гражданское право, ч. 2, Под общей ред., В.Ф.Маслова, А.А.Пушкина, изд., `Вища школа~, Киев, 1983 г., С. 354.

პირიქით, დადგენილია მონაწილეთა საერთო საკუთრების რეჟიმი. უფრო მეტიც, ამხანაგობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება არ ითვალისწინებს ერთობლიობას ქონებით, ვინაიდან თავიდან საერთო ქონება იქმნება მონაწილეთა შენატანების საფუძველზე, რომლის ღირებულება განისაზღვრება ხელშეკრულებით ან ივარაუდება, რომ ყველა მონაწილის წილი თანაბარია. ამ წილების პროპორციულად მონაწილეებს შორის ნაწილდება სარგებელი, შემოსავალი, წილის ოდენობით განისაზღვრება პასუხისმგებლობა საერთო ვალდებულებებზე და ა.შ.

ამხანაგობაში საერთო საკუთრება ძირითადი საფუძველია დასახული მიზნის მისაღწევად. თუ ქორწინება გულისხმობს ქონების საერთო საკუთრებაში შექმნას და საქორწინო ურთიერთობის საბოლოო მიზანი არ არის დაკავშირებული საერთო ქონების შექმნასთან, ამხანაგობა იქმნება იქ, სადაც ერთი ადამიანის ძალისხმევა და მატერიალური სახსრები არ არის საკმარისი რომელიმე მიზნის მისაღწევად. საგულისხმოა, რომ თუ ადამიანისთვის სულერთია ფიზიკური ძალებისა და ქონების გაერთიანება და შესაბამისად, რა წილი ეკუთვნის მას აღნიშნულ საქმიანობაში მონაწილეობის გამო, მაშინ, არც შემოსავლების ოდენობას, რაც საერთო საქმეში მონაწილეობის წილის მიხედვით მიიღება, ექნება განსაკუთრებული მნიშვნელობა. მაგალითად, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისას ქონებისა და თავიანთი ძალების გაერთიანების შედეგად, მონაწილეები მშენებლობის ობიექტზე ლეზულობენ საერთო საკუთრების უფლებას, მაგრამ მათ მთავარ მიზანს მაინც წარმოადგენს თავად ობიექტისგან სარგებლის მიღება (საცხოვრებელი ბინის) და არა ის გარემოება, რომ მათი მფლობელობა და სარგებლობა შეიძლება განხორციელდეს მონაწილეთა მიერ ერთობლივად და არა დამოუკიდებლად. აღნიშნულ შემთხვევაში საერთო წილადი საკუთრება წარმოადგენს მონაწილეთა ინდივიდუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების აუცილებელ საშუალებას საცხოვრებელი ბინით, თანასაკუთრება კი იმას გულისხმობს, რომ გარკვეული ქონება შეიძლება ერთობლივად ეკუთვნოდეს რამდენიმე პირს. იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს მსგავსი მოსაზრებები. ვ.ფ.მასლოვი და ა.ა.პუშკინი თვლიან, რომ ხელშეკრულების მონაწილეთა ფულადი და სხვა ქონებრივი შენატანები, აგრეთვე, ქონება, რომელიც შექმნილია საერთო საქმიანობის შედეგად, არის მათი საერთო საკუთრება. აღნიშნული ავტორები აქვე აკეთებენ დასკვნას, რომ: „თითოეული მათგანი წარმოებული შენატანების შესაბამისად, საერთო საკუთრების უფლებით ფლობს ქონების გარკვეულ წილს“³, ე.ი. ეთანხმებიან ამხანაგობის საერთო წილადი საკუთრების წარმოშობას ხელშეკრულების მონაწილეთა შენატანების საფუძველზე, რაც მათ მიერ დასახული მიზნების მიღწევის საფუძველია. ამდენად, უმჯობესი იქნებოდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 932-ე მუხლის მესამე ნაწილში მონაწილეთა საერთო საკუთრება ზუსტად განსაზღვრულიყო წილადად.

ამხანაგობის საერთო საკუთრების არსებობასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული მონაწილეთა უფლებებისა და მოვალეობების მოცულობის განსაზღვრა ამ ქონების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვასთან დაკავშირებით, რაც კვლევის საგანია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 933-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „წილი ქონების ან უფლების სახით არ შეიძლება გადაეცეს მესამე პირს ხელშეკრულების სხვა მონაწილეთა თანხმობის გარეშე. უარი თანხმობაზე დაიშვება მხოლოდ პატივსაღები მიზეზის არსებობისას“. ანალოგიური აკრძალვაა გათვალისწინებული, აგრეთვე, 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 449-ე მუხლით. აღნიშნული, გარკვეულწილად, გერმანული კანონმდებლობით გათვალისწინებული დებულების მგავსია, რომლის თანახმად, მესამე პირებისთვის წილის გადაცემა დაუშვებელია, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს. კერძოდ, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 719-ე მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულია, რომ მონაწილეს არ შეუძლია განკარგოს თავისი წილი, რომელიც საერთო ქონების შემადგენელი ნაწილია (საერთო ქონების განკარგვის იგივე წესს ითვალისწინებს 1419-ე მუხლი; სხვაგვარად წყდება საკითხი მემკვიდრეობითი საკუთრების შემთხვევაში, რომელსაც რამდენიმე მემკვიდრე ერთობლივად განკარგავს 2033-ე მუხლის პირველი ნაწილი). აქვე აღნიშნულია, რომ საერთო საკუთრების მფლობელს არ შეუძლია საერთო საკუთრებაში შემავალი ცალკეული ნივთების განკარგვა. ცალკეული ნივთების წილობრივი გან-

³ Wolfgang Fikentscher, Schuldrecht, Walter de Gruyter, Berlin, New York, 1992, S. 610- 611.

კარგვა არის საერთო საკუთრების, როგორც ერთობლივი ქონების პრინციპის დარღვევა და ახალი სანივთო სამართლის ჩამოყალიბების საფუძველი, რადგან მონაწილეებს არ აქვთ უფლება განკარგონ საერთო ქონებაში არსებული ცალკეული ნივთები (Munch Komm/P. Ulmer 719).⁴ ეს დაარღვევდა სანივთო სამართლის „numerus Clausas“ პრინციპს, რომელიც განსაზღვრავს კანონით ამომწურავად ჩამოთვლილ სანივთო უფლებათა წრეს, კერძოდ, არსებობს იმდენი სანივთო უფლება, რამდენიც კანონითაა აღიარებული. „პარტნიორთა ჯაჭვის“ შესახებ ეს სტანდარტული წესი სავალდებულო იყო ტრადიციული გერმანული სამართლით რეგულირებადი საერთო საკუთრებისათვის (Gesamthand). რომაული სამართლის მიხედვით, რომელიც გერმანიის სამოქალაქო სამართლის სხვა ნაწილების ძირითადი წყაროა, წილის ინდივიდუალური გადაცემის აკრძალვისათვის აუცილებელი იყო მონაწილეთა მიერ გამოხატული თანხმობა ხელშეკრულებაში.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1861-ე მუხლის მიხედვით, ამხანაგობის ნებისმიერ წევრს უფლება აქვს სხვა მონაწილეთა თანხმობის გარეშე, დამოუკიდებლად გაასხვისოს ამხანაგობიდან მისი კუთვნილი წილი მესამე პირზე. ე.ი. აღნიშნული ქვეყნის კანონმდებლობა საქართველოსაგან განსხვავებით განსაზღვრავს მონაწილის კუთვნილი წილის განკარგვის (გასხვისების) უფლებას მესამე პირზე.

რუსეთის სამოქალაქო კოდექსი, აგრეთვე ითვალისწინებს ამხანაგობის საერთო ქონებიდან მონაწილის მიერ მისი კუთვნილი წილის თავისუფლად განკარგვის შესაძლებლობას. თითოეულ მონაწილეს უფლება აქვს განკარგოს თანასაკუთრებაში არსებული თავისი წილი სამოქალაქო კოდექსის ზოგადი წესების შესაბამისად. ზოგიერთი ავტორი აღნიშნავს, რომ ამხანაგობის ხელშეკრულების მონაწილის უფლება - საერთო ქონებაში განკარგოს თავისი წილი დანარჩენ მონაწილეთა თანხმობის გარეშე, წარმოადგენს რუსეთის სამოქალაქო სამართლის დემოკრატიულ ნოველას,⁵ ვინაიდან ცნობილი იყო ამ უფლების აკრძალვა დანარჩენ მონაწილეთა თანხმობის გარეშე. მაგრამ, რამდენად წარმატებულია ასეთი სიახლე? ამხანაგობის ხელშეკრულება მიეკუთვნება ფიდუციურ ხელშეკრულებათა რიცვს, სადაც თითოეული მონაწილის პიროვნებას აქვს განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა დანარჩენ მონაწილეთათვის. ამხანაგობა იქმნება არა იმისათვის, რომ მონაწილეებმა გააერთიანონ თავიანთი ქონება და გახდნენ ამ ქონების თანამესაკუთრები, არამედ იგი (ამხანაგობა) იქმნება გარკვეული მიზნის ერთობლივად მიღწევისათვის. ერთ-ერთი მონაწილის მიერ საერთო ქონებიდან თავისი წილის დანარჩენ მონაწილეთა თანხმობის გარეშე თვითნებურად განკარგვა კი დაკავშირებულია ამ მონაწილის შეცვლასთან მისი წილის მყიდველით - გარეშე პირით. ფაქტობრივად, მონაწილე ასხვისებს, ანუ გადასცემს სხვა პირს არა მარტო საერთო ქონებიდან თავისი წილის მიღების უფლებას, არამედ ამხანაგობის ხელშეკრულებაში მონაწილეობის უფლებასაც, რაც იწვევს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტას და საერთო ქონების გაყოფას იმ შემთხვევაში, თუ დანარჩენი მონაწილეები არ ეთანხმებიან ერთ-ერთი მონაწილის ასეთ შეცვლას ან წილის შემძენი არ მოისურვებს მიიღოს მონაწილეობა ერთობლივ საქმიანობაში და მოითხოვს წილის გამოყოფას. ვფიქრობ, ერთ-ერთი მონაწილის მიერ წილის გასხვისების შემთხვევაში, საჭირო არ უნდა იყოს სხვა (ყველა) მონაწილის თანხმობა, ვინაიდან ახალ მონაწილეზე გადავა ყველა ის უფლება-მოვალეობა, რაც ხელშეკრულებით დაკისრებული ჰქონდა წილის გამსხვისებელს.

საერთო წილადი საკუთრების თითოეულ მენილეს (ამხანაგობის წევრს) უფლება აქვს მიიღოს საერთო საკუთრებიდან მისი კუთვნილი წილი. ეს წილი ყოველთვის აბსტრაქტულია და, ამიტომ შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ფორმაში: წილადებში, პროცენტებში, მეტრებში.⁶ როგორც წესი, ამხანაგობის ხელშეკრულებებში, რომლებიც მიზნად ისახავენ რაიმე შენობის, დაწესებულების აშენებას, მშენებლობაში მონაწილეთა წილი და შემდგომ დამთავრებული ობიექტის გაყოფა განისაზღვრება კვადრატულ მეტრებში საერთო ფართის შესაბამისად. სასამართლო პრაქტიკაში იყო შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთი ამხანაგობის წევრი ითხოვდა ამხანაგობიდან საცხოვრებელი ბინის გამოყოფას. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიიჩნია,

⁴ Зевцов Б, Особенности возмездных договоров, Право и экономика, 2000 г., #10. С.4.

⁵ Романец Ю.В, Договор простого товарищества и подобные ему договоры (вопросы теории и судебной практики), Вестник ВАСРФ, 1999 г., #12, С. 104.

⁶ იხ.: თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება. საქმე № 2ბ/828-07/27, მაისი, 2008 წ.

რომ საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ სწორად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ უდავოდ დადგენილია აპელანტის მიერ ამხანაგობისთვის ბინის ასაშენებლად 10 000 ლარის გადახდის ფაქტი. სხვა მტკიცებულება, რომ მან შენატანი განახორციელა სრულად ან განია ამხანაგობისათვის გარკვეული საქმიანობა, საქმის მასალებიდან არ დასტურდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მისი სარჩელი არ დაკმაყოფილდა და ამხანაგობის საკუთრებაში არსებული ქონებიდან მიეცა უფლება მისი წილის კომპენსაციის მოთხოვნისა,⁷ რაც უცვლელი დარჩა საკასაციო პალატის განჩინებითაც.⁸ სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინება სრულიად სამართლიანია, ვინაიდან ამხანაგობის ხელშეკრულების მონაწილეთა საერთო საკუთრების გაყოფისას მათი წილის ოდენობა განისაზღვრება ერთობლივ საქმიანობაში შენატანების პროპორციულად.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 349-ე მუხლით განსაზღვრულია მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ცნება, რომლის თანახმად, შესრულება შეიძლება მოითხოვოს როგორც კრედიტორმა, ასევე მესამე პირმა, თუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ანდა თვით ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ე.ი. ამხანაგობის მიზნიდან გამომდინარე, სარგებლიდან წილის მოთხოვნის უფლება აქვს იმ პირს, ვის სასარგებლოდაც დაიდო ხელშეკრულება. მაგალითად, თუ ამხანაგობის ხელშეკრულების საგანია ქველმოქმედება, რაც ითვალისწინებს სხვა პირთა დაკმაყოფილებას საცხოვრებელი ბინით, მაშინ მონაწილეთა შენატანების საფუძველზე აშენებული საცხოვრებელი სახლიდან იმ პირებს, ვის სასარგებლოდაც აშენდა იგი, საცხოვრებელი ფართი გადაეცემათ ამხანაგობის მონაწილეთა შენატანების (წილის) შესაბამისად ან მათივე შეთანხმებით.

ამხანაგობის ქონებიდან ერთ-ერთი მონაწილის მიერ წილის განკარგვის შემთხვევაში ხელშეკრულების დანარჩენ მონაწილეებს აქვთ მესამე პირისათვის გადასაცემი წილის უპირატესი შესყიდვის უფლება (სსკ-ის 933-ე მუხლის მეორე ნაწილი). ყოველივე ეს გამომდინარეობს ერთობლივი საქმიანობის შედეგად შექმნილი ამხანაგობის საერთო საკუთრების განკარგვის წესიდან, რომლის თანახმად, ამხანაგობის ხელშეკრულების მონაწილეებს არა აქვთ უფლება განკარგონ თავიანთი წილი საერთო საკუთრებაში სხვა მონაწილეთა თანხმობის გარეშე, რაც როგორც ზემოთ აღვნიშნე, განპირობებულია ამხანაგობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნებით - ფიდუციური ხასიათით. ხელშეკრულების მონაწილეს უფლება აქვს გაყიდოს თავისი წილი საერთო ქონებიდან. იგი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაიყოვნებლივ აცნობოს ხელშეკრულების დანარჩენ მონაწილეებს, რადგან მათ აქვთ წილის უპირატესი შესყიდვის უფლება. უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე მონაწილეების მიერ წილის შესყიდვა მოხდება იმავე პირობებით, როგორი პირობებითაც მოხდებოდა მისი გაყიდვა მესამე პირებზე. ამდენად, მათ უფლება არა აქვთ მოითხოვონ შესყიდვის რაიმე შეღავათიანი პირობები. ამავე დროს, წილის გაყიდვის პირობები უნდა იყოს რეალური, ე.ი. მკვეთრად არ უნდა აღემატებოდეს წილის ნამდვილ ღირებულებას.

უპირატესი შესყიდვის უფლებით თანაბრად სარგებლობს ხელშეკრულების ყველა სხვა მონაწილე. უპირატესი შესყიდვის უფლებით შეიძლება ისარგებლოს მხოლოდ იმ პირმა, ვისაც ის ეკუთვნის ერთობლივი საქმიანობიდან, რადგან კანონით აკრძალულია უპირატესი შესყიდვის უფლების გადაცემა როგორც მემკვიდრეობით, ისე სხვა პირებზე თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (სსკ-ის 516-ე მუხლის მეორე ნაწილი). უპირატესი შესყიდვის სურვილი შეიძლება გამოთქვას ყველა მონაწილემ ერთად ან რამდენიმემ. ასეთ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ხელშეკრულების საერთო მიზანი და წილის სახე, თუ რა სახით უნდა მიიღოს მონაწილემ (თანამესაკუთრემ) თავისი წილი - ფულადი ოდენობით, ნატურით, თუ რაიმე უფლების სახით. თუ შესაძლებელია წილის გაყოფა, დანაწევრება, მაშინ უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე ყველა მსურველი გასასხვისებელ წილს შეისყიდის ხელშეკრულებაში თავისივე წილის შესაბამისად, ანუ თანაბრად ან პროპორციულად. თუ ეს შესაძლებელია, მაშინ შერჩევა, თუ ამხანაგობის მონაწილეთაგან ვინ შეისყიდოს წილი, მოხდება წილის გამსხვისებლის ინტერესების მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ ამხანაგობის მონაწილეები უარს იტყვიან წილის შესყიდვაზე, მაშინ მისი გასხვისება მოხდება მესამე პირზე. ამხ-

⁷ იხ.: სუსგ სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის გადაწყვეტილება № ას-666-887-08, 31 იანვარი, 2009 წ.

ანაგობის მონაწილეებს არა აქვთ უფლება უარი განაცხადონ წილის მესამე პირისათვის გადაცემაზე, გარდა პატივსაღები მიზეზებისა.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, წილის გასხვისება ნიშნავს ამხანაგობაში ახალი წევრის მიღებას, ამიტომ მონაწილეთა პატივსაღები მიზეზი წილის გასხვისების აკრძალვას კი არ უკავშირდება, არამედ კონკრეტულ მესამე პირს, რომელიც წილის გასხვისების შედეგად უნდა გახდეს ამხანაგობის მონაწილე. მაგალითად, იმ შემთხვევაში თუ მესამე პირი, რომელსაც სურვილი აქვს ამხანაგობიდან შეიძინოს წილი, ვერ აკმაყოფილებს ამ ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნებიდან (ნდობა, პატივისცემა, პროფესიული დამოკიდებულება და სხვ.) გამომდინარე მოთხოვნებს, მაშინ მონაწილეთა მხრიდან ეს გარემოებები ჩაითვლება პატივსაღებ მიზეზად აუკრძალონ მესამე პირს წილის შექენა.

საერთო ქონებიდან მონაწილის წილის სასყიდლიანი გასხვისების უფლებისაგან საჭიროა განვასხვაოთ შემთხვევები, როდესაც მესამე პირისათვის ხდება ამ უფლების მოთხოვნის დათმობა, რაც არ იწვევს ამხანაგობის ხელშეკრულების მონაწილის უფლებებისა და მოვალეობების გადასვლას მესამე პირზე, ანუ აქ შეიძლება ადგილი ჰქონდეს ცესიის კლასიკურ ვარიანტს, როდესაც კრედიტორი საერთო ქონებიდან თავისი წილის მოთხოვნის უფლებას გადასცემს სხვა პირს, ჩვეულებრივად რჩება ერთობლივი საქმიანობის მონაწილედ და მესამე პირისაგან მოითხოვს, კომპენსაციის სახით გადაუხადოს მას იმ წილის ღირებულება, რომელსაც უთმობს. პრაქტიკაში ასეთი გარიგებების საშუალებით ხშირად იყიდება ბინები ჯერ კიდევ დაუმთავრებელ საცხოვრებელ სახლებში. აღნიშნულ შემთხვევაში იდება არა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, არამედ წილის უფლების დათმობაზე იმ უძრავ ქონებაზე, რომელიც იქმნება. აღნიშნულის საფუძველზე, მყიდველს შეუძლია მოითხოვოს აშენებულ საცხოვრებელ სახლზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია. ამასთან, მოთხოვნის უფლების დათმობა შეუძლებელია ყველა მონაწილის თანხმობის გარეშე, ვინაიდან მოვალის თანხმობის გარეშე არ შეიძლება მოთხოვნის დათმობა ისეთი ვალდებულების შესრულებაზე, სადაც კრედიტორის პიროვნებას არსებითი მნიშვნელობა აქვს მოვალისათვის. ამდენად, ამხანაგობის ხელშეკრულებაში მონაწილის პიროვნებას არსებითი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ, მოთხოვნის დათმობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გათვალისწინებულია ხელშეკრულებით ან მონაწილეთა შემდგომი შეთანხმებით.

წილის გადაცემასთან დაკავშირებით, ასევე საინტერესოა იმის განხილვა, შესაძლებელია თუ არა მისი გადაცემა მემკვიდრეებზე და ამისათვის რა საფუძვლებია საჭირო. ვფიქრობ, ამხანაგობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, მონაწილის სიცოცხლეში მისი წილის გადაცემა მოხდება ზემოთ განხილული ანალოგიით. გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრე მიიღებს მამკვიდრებლის წილის კომპენსაციას, ამხანაგობის საერთო ქონებიდან (გარდაცვლილი მონაწილის მიერ საერთო საქმეში შენატანების პროპორციულად) და არა ამხანაგობაში მონაწილეობის უფლებას.

ამგვარად, მიმაჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 933-ე მუხლის პირველ ნაწილში გასათვალისწინებელია სხვა ქვეყნების გამოცდილება ამხანაგობიდან წილის თავისუფლად განკარგვასთან დაკავშირებით, რათა ამხანაგობის ხელშეკრულების მონაწილეები არ შეიზღუდონ საერთო ქონებიდან კუთვნილი წილის განკარგვაში.